# ლელო

**22-28 თებერვალი, 1995 წ. ● №6 (10917)**

ფასი 600 რუბლი, ან 250 000 კუპონი.


## ქინქლაძეს აკვირდებიან ინგლისში, ესპანეთში და მოსკოვში

თბილისის „დინამოს“ 21 წლის ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე, რომელმაც, ამას წინათ, თანამეგობრობის თასის გათამაშებაში 3 გოლი გაიტანა და ამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, მიპატიჟებულია გასასინჯად მადრიდის „ატლეტიკოში“, ქინქლაძე აღრიცხვაზე ჰყოლია აყვანილი „მანჩესტერ სიტისაც“ (ინგლისი). ამასთან, გაზეთი იუწყება, რომ კონსტანტინე ბესკოვს დიდი სურვილი აქვს მიიწვიოს იგი მოსკოვის „დინამოში“. ფიქრობენ, რომ ქინქლაძისათვის ყველაზე რეალურია კონტრაქტი მოსკოვის „დინამოსთან“, რომელსაც შემადგენლობაში ჰყავს ერთადერთი უცხოელი ფეხბურთელი, იმ დროს, როცა ინგლისისა და ესპანეთის ზემოხსენებულ კლუბებში ამ მხრივ მას გარკვეული პრობლემები შეექმნება.

## ომარ თეთრაძე უძლიერესთა სიაში

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა დაამტკიცა იმ 33 საუკეთესო მოთამაშის სია, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შარშანდელ სეზონში. მოთამაშეთა კლასიფიკაცია არ მომხდარა პოზიციების მიხედვით. უბრალოდ, განისაზღვრა თერთმეტი საუკეთესო ფეხბურთელი, ამდენივე მეორე და მესამე ნომერი.

პირველ შემადგენლობაში მოხვდა თბილისელი ომარ თეთრაძე, რომელიც შარშან მოსკოვის „დინამოს“ ღირსებას იცავდა.

## ზოზიროვი — უკრაინაში, კურტანიძე — საქართველოში

როგორც გაზეთი „სპორტ-ექსპრესი“ იუწყება, კიევში გაიმართა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) კოორდინატორის კონსტანტინე ბუროის (რუმინეთი) აზრით უახლოეს დროში უსათუოდ მიენიჭება უმაღლესი, „ა“ კატეგორია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი მიიღებს შესარჩევი ოლიმპიური ტურნირის სტატუსს.

გამარჯვებულთა შორის სამი მოჭიდავე საქართველოს საჭიდაო სკოლაშია აღზრდილი. ოღონდ მათგან ორი — ზოზიროვი და ვალიევი უკრაინაში გამოდიან, კურტანიძე კი საქართველოს ღირსებას იცავს. წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ვიქტორ ეფრემოვი, ვლადიმერ თოგუზოვი, ასლან ფიდაროვი (სამივე — უკრაინა), ვადა ცაკახირო (იაპონია), ზაზა ზოზიროვი (უკრაინა), ქამილ ხოჯაულა (თურქეთი), სერგეი გორბუნოვი (უკრაინა), ელდარ კურტანიძე (საქართველო), ედუარდ ტოგაევი და მერაბ ვალიევი (ორივე — უკრაინა).





ვლადიმერ ბარქაია! იგი 1950-იანი წლების დასასრულს მოვიდა თბილისის „დინამოში“. მოვიდა თავის თანატოლებთან, ბრწყინვალე ფეხბურთელებთან ერთად, რომლებმაც პირველი ნამდვილი ტრიუმფი მოუტანეს ჩვენს სახელოვან გუნდს და 1964 წელს სსრ კავშირის ჩემპიონთა წოდება მოიხვეჭეს, პირველად აღასრულეს დიდი ხნის ნანატრი, დამსახურებული, ღირსეული ზრახვა და ოცნება.

ვლადიმერ ბარქაია ქაბუკთა იმ შესანიშნავი საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, რომელიც ომისშემდგომი წლებიდან არსებობდა ჩვენი ზღვისპირა საკურორტო ქალაქ გაგრაში ცნობილ მწვრთნელ რეზო შარტავას ხელმძღვანელობით. სწორედ აქედან მოვიდნენ თბილისის „დინამოში“ ვ. ბარქაიას გარდა გიორგი სიჭინავა, გოჩა გავაშელი, აქ აღიზარდა მრავალი, მრავალი სხვა გამოჩენილი ოსტატი.

1957 წლიდან მოევლინა საფეხბურთო სამყაროს ვლადიმერ ბარქაია, თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 226 მატჩი ითამაშა საკავშირო ჩემპიონატებში, გაიტანა 67 გოლი, მონაწილეობდა უამრავ სათასო, სასპარტაკიადო, საერთაშორისო შეხვედრაში, სსრ კავშირის პირველ ნაკრებში, მსოფლიო ჩემპიონატში, დასახელებული იყო 33 საუკეთესო ფეხბურთელის პრესტიჟულ სიაში.

ვ. ბარქაია გამოირჩეოდა დახვეწილი ტექნიკით, მახვილი ტაქტიკური აზროვნებით, ფართო სტრატეგიული ერუდიციით, მინდვრის ხედვის უნიკალური უნარით. იგი, უდავოდ, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო, გამორჩეული ფიგურა გახლავთ.

## ელიზბარ უბილავა ანანდის ბანაკშია

როგორც ცნობილია, სულ მალე ესპანეთის კურორტ ლას-პალმასში დაიწყება შერჩევითი ციკლის ფინალური მატჩი ჭადრაკში პროფესიონალური ასოციაციის ვერსიით, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან ამერიკელი გატა კამსკი და ინდოელი ვიშვანათან ანანდი (ამ უკანასკნელმა ფიდეს ვერსიით ბრძოლა ანალოგიურ ტურნირში უკვე წააგო). ანანდი და მისი ერთი სეკუნდანტი, ჩვენი თანამემამულე ელიზბარ უბილავა უკვე ემზადებიან მადრიდში. ახლა მათ შეუერთდებათ მეორე სეკუნდანტი, დიდოსტატი არტურ იუსუპოვი, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს.

„ვიშის გუნდს“, ესპანეთში სწორედ ასე უწოდებენ ანანდის გარემოცვას, გადაწყვეტილი აქვს რევანშის აღება ფიდეს ციკლის მეოთხედფინალში გატა კამსკისთან დამარცხებისთვის.




## მომჭირნეობა გაჭირვების იძულებითი ნამალია

ქართული სპორტის ინტეგრაცია მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რაც ევროპის ახალგაზრდობისთვის ოლიმპიური დღეების ასპარეზობები დააკანონა, ეს პროცესი უფრო დაჩქარდა. ზამთრის სახეობებში ოლიმპიურ დღეებში პირველად გამოვედით. ეს იყო რიგით მეორე ასპარეზობა, რომელიც ჩატარდა ევროპის პატარა ქვეყანაში ანდორაში. ცხადია, მონაწილეობა აუცილებელი იყო, მაგრამ ეს ასპარეზობა ჩვენთვის გაკვეთილიც იყო, მხოლოდ გამოცდილების შეძენა არ გვაქვს მხედველობაში. შეჯიბრებაში 40 ქვეყნის 1000-ზე მეტი სპორტსმენი გამოდიოდა.

სპორტული ინტეგრაციის პროცესი მხოლოდ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას არ მოიცავს — მიზანი დიდ საერთაშორისო ასპარეზობებში გამოსვლაა, შეჯიბრებებში კი ქვეყნის სპორტული მოძრაობის დონე და ავტორიტეტი აისახება.

ვიდრე კონკრეტულად შევეხებოდეთ ანდორაში საქართველოს სპორტული დელეგაციის გამოსვლას, რაც, აქედანვე ვიტყვით, სამწუხაროდ, არ იყო სახარბიელო, რამდენიმე სიტყვით ზოგად ტენდენციებს შევეხებით.

ბოლო წლებში ხშირად გვესმის, რომ დუხჭირი ცხოვრება არც სპორტს აძლევს გასაქანს. ეს ფაქტია, მაგრამ დასანანი ისაა, რომ ხშირად ამ მიზეზს უმართებულოდ ვიშველიებთ ხოლმე. წარუმატებლობის გამართლება იმით, რომ გვიჭირს, მეტწილად უყაირათოდ გახარჯული სახსრების გამო

იხ. მე-4 გვ.

## იურგენ კლინსმანი — „ჯადოსნური მსროლელი“

**მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატმა მარტო მწვრთნელ ბერტი ფოგტსს კი არა, გერმანიის ნაკრების ბევრ წევრსაც შეურყია რეპუტაცია, თუმცა, ეს არავითარ შემთხვევაში არ შეეხება გამოჩენილ თავდამსხმელ იურგენ კლინსმანს. გთავაზობთ ერთ თავს ბიძი ბამრეკელის ჯერ გამოუქვეყნებელი წიგნიდან „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“.**

„უკაცრიელ კუნძულზე რომ გადაგასახლონ, რას წაიღებდით თან“? ჰკითხეს კლინსმანს. „ბურთს“ — იყო პასუხი.

იურგენ კლინსმანი (დაიბადა 1964 წლის 30 ივლისს) შვაბიის პატარა ქალაქ ჰაისლანგენიდანაა. მამამისს აქ ფურნე ჰქონდა, სადაც თავისი სამი ვაჟით მუშაობდა, აი, მეოთხე, იურგენი, კი ამ საქმიდან თავიდანვე გაათავისუფლა, ხაბაზობით სახელს ვერ მოიხვეჭსო და ფეხბურთის სკოლაში მიაბარა. ახალგაზრდა კლინსმანი თავდაპირველად „ტვ გინგენში“ თამაშობდა, შემდეგ პირველ პროფესიულ კონტრაქტს მოაწერა ხელი „შტუტგარტერ კიკერსთან“, აქ 1981-84 წლებში გამოდიოდა, მერე კი ბუნდესლიგის პირველხარისხოვან კლუბ „შტუტგარტში“ გადავიდა და სახელიც აქ გაითქვა.

როგორ თამაშობს ეს თავდამსხმელი? მთელ მატჩს განუწყვეტლივ მოძრაობს, მოსვენება არა აქვს, მუდმივი

იხ. მე-3 გვ.



სურათზე: იურგენ კლინსმანი.

## რა ხდება ქვეყანაზე

● მელბურნის საავადმყოფოში გარდაიცვალა სახელოვანი ინგლისელი ჩოგბურთელი, 85 წლის ფრედ პერი, რომელმაც ჩოგბურთის ისტორიაში პირველმა მოიგო დიდი სლემის ოთხივე ტურნირი. იგი სამჯერ იყო უიმბლდონის და ამდენჯერვე აშშ-ს ჩემპიონი. პერის, ამავე დროს, თითოჯერ აქვს მოგებული ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატები. 30-იანი წლების საუკეთესო ჩოგბურთელმა ოთხჯერ გაიმარჯვა დევისის თასის გათამაშებაში.

● ინგლისელმა ავტომობილისტმა ნაიჯელ მენსელმა, რომელიც 1992 წლის „ფორმულა-1“-ის ჩემპიონი იყო, 1993 წელს კი ამერიკულ „იდიკარში“ გამარჯვებული, ხელი მოაწერა კონტრაქტს „მაკლარენთან“ და ფინელ მიკი ჰაიკინენთან ერთად ერთ სეზონს გაატარებს ამ გუნდში.

● დახურულ დარბაზში მძლეოსანთა წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება 10-12 მარტს ბარსელონაში. როგორც ორგანიზატორები იუწყებიან, შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 100 ქვეყნის ათასამდე წარმომადგენელმა.

● დასასრულს უახლოვდება ფრანგი მოცურავის გი დელაჲის ტრანსატლანტიკური ოდისეა, რომელმაც 16 დეკემბერს მწვანე კონცხის კუნძულთან აიღო სტარტი. 42 წლის ენთუზიასტმა უკვე დაფარა 4 ათასამდე კილომეტრი. ამ უნიკალური გაცურვის ბოლო პუნქტი კუნძული ბარბადოსი გახლავთ. ე.ი. დელაჲს ფინიშამდე 560 კილომეტრი აქვს დარჩენილი.

● კანადელმა რონ დოსენბაჰმა ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა კიბეებზე რბენაში: ერთი დღის განმავლობაში მან 85.420 საფეხური დასძლია, ანუ სასტუმრო „ვესნაში: ერთი დღის განმავლობაში მან 85.420 საფეხური დასძლია, ანუ სასტუმრო „ვესლინის“ კიბეებზე (მონრეალში) ზემოთ — ქვემოთ 78 „რეისი“ შეასრულა.

● 29 ივლისს მოსკოვში გაიმართება ველოსიპედისტთა სუპერკრიტერიუმი სახელწოდებით „კრემლის გარშემო“. მასში მონაწილეობას მიიღებს თანამედროვე ველოსპორტის თითქმის ყველა ვარსკვლავი. მათ შორის მიგელ ინდურაინი, ევგენი ბერზინი, ტონი რომინგერი, კრის ბორდმენი, ლუკ ლებლანი, დიმიტრი კონიშევი და სხვ.

● 62 წლისა გარდაიცვალა ჰოლანდიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი რუუდ ვირსმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში „ეინდჰოვენის“ დაცვას მეთაურობდა. ინფარქტი მას ჩოგბურთის თამაშის დროს მოუვიდა.

● კიევში დაიწყო სასამართლო პროცესი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონ ალექსანდრე კოლჩინსკიზე. მას ბრალად ედება სხვადასხვაგვარ რეკეტში მონაწილეობა. სასამართლო პროცესი დახურულია, ამიტომაც მას ჟურნალისტები არ ესწრებიან.

● დამტკიცდა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელ ქალთა და ვაჟთა სია. ათეულები გამოიყურება ასე: ქალები. 1. ა. სანჩესი (ესპანეთი), 2. შ. გრაფი (გერმანია), 3. მ. პიერსი (საფრანგეთი), 4. კ. მარტინესი (ესპანეთი), 5. ი. ნოვოტნა (ჩეხია), 6. ლ. დავენპორტი (აშშ), 7. გ. საბატინი (არგენტინა), 8. ნ. ზვერევა (ბელარუსი), 9. კ. დატე (იაპონია), 10. ა. ჰუბერი (გერმანია). ვაჟები. 1. პ. სამპრასი, 2. ა. აგასი (ორივე — აშშ), 3. ბ. ბეკერი (გერმანია), 4. ს. ბრუგერა (ესპანეთი), 5. გ. ივანიშევიჩი (ხორვატია), 6. მ. ჩანგი (აშშ), 7. ა. ბერასატეგუი (ესპანეთი), 8. მ. შტიჰი (გერმანია), 9. ს. ედბერგი (შვეცია); 10. ე. კაფელნიკოვი (რუსეთი).

# ჭადრაკის სამყაროში

## გია გიორგაძე და სხვები

კალკუტაში დამთავრდა მოჭადრაკეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 11 შესაძლებლიდან 8,5-8,5 ქულა დააგროვეს და პირველი ოთხი ადგილები გაიყვეს: იორგ ჰიკლმა (გერმანია), ენტონი მაილსმა (ინგლისი), გია გიორგაძემ (საქართველო) და გრიგორი სერპერმა (უზბეკეთი). მსოფლიოს ექსჩემპიონს ვასილი სმისლოვს და პეტერბურგელ კონსტანტინე საკაევს 7,5-7,5 ქულა აქვთ.

## კალენდარს აზუსტებენ

აბუდაბიში გაიმართა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტთა საბჭოს სხდომა, რომელმაც დაამტკიცა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირისა და ოფიციალური ჩემპიონატების გრაფიკი.

ჭაბუკთა და გოგონათა წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება 28 სექტემბერ — 8 ოქტომბერს ჰალეში (გერმანია). ამავე შეჯიბრების გაისად კოლუმბიის ქალაქი მედელინა უმასპინძლებს. წლეულს 16-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ნავარაუდევია ბრაზილიაში (დეკემბერი), გაისად კი ბარსელონაში (აგვისტო). სენიორთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოეწყობა 14-24 ნოემბერს ბად-ვერისჰოფენში (გერმანია).

დადგინდა, ასევე, ევროპის მომავალი ჩემპიონატების თარიღები. კონტინენტის უძლიერესი ჭაბუკები წლეულს ერთმანეთს ისრაელის ქალაქ ჰოლონში შეხვდებიან (ნოემბერი), გოგონები კი ზანკში (უნგრეთი, მაისი). 16-18 წლის ჭაბუკთა და გოგონათა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება პოლონეთის ზაგანში (ივნისი-ივლისი). 10, 12 და 14 წლების მოზარდთა ევროპის ჩემპიონატს საფრანგეთის ვერდენი უმასპინძლებს, მსოფლიოს 1997 წლის გუნდურ ჩემპიონატს კი ლუცერნი (შვეიცარია).

იმავე აბუდაბიში დამტკიცდა პრეზიდენტთა საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ: ფიდეს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი (ფილიპინები), საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი ვიცეპრეზიდენტი მუჰამედ გობაში (გაერთიანებული საემიროები), ვიცეპრეზიდენტი ანდრეი მაკაროვი (რუსეთი), გენერალური მდივანი გეორგიუს მაკროპულოსი (საბერძნეთი), ხაზინადარი, ვილი იკლიკი (ბელგია) და ვიცეპრეზიდენტები კონტინენტების მიხედვით: ევროპის — კურტ იუნგვირტი (ავსტრია), ამერიკის — სუნიე ნეტო (ბრაზილია), აზიის — ლაგდარ მაზოუზი (ალჟირი), აფრიკის — ხალიფა ალ-ჰიტმი (კატარი).

## ახლოვდება ტალის მემორიალი

ლატვიის დედაქალაქი რიგა აპრილში მსოფლიოს ექსჩემპიონის მიხეილ ტალის მემორიალს უმასპინძლებს. ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა თერთმეტმა სუპერდიდოსტატმა — გარი კასპაროვმა, ვიშვანათან ანანდმა, რაფაელ ვაჰანიანმა, ბორის გულკომ, ვასილი ივანჩუკმა, ელვის კენგისმა, ვლადიმერ კრამნიკმა, იან ტიმანმა, ნაიჯელ შორტმა, იან ელვეტსმა და არტურ იუსუპოვმა.

## პრეტენდენტთა მატჩების ირგვლივ

მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ახლანდელი ციკლის ფინალი, როგორც ჩანს, მოეწყობა იქ, სადაც შარშან ზაფხულში მეოთხედფინალური შეხვედრები მიმდინარეობდა, წლეულს კი ნახევარფინალები. ეს გახლავთ ინდოეთის საკურორტო ქალაქი სანგინაგარი.

შეჯიბრების მთავარმა სპონსორმა ინდოელმა მაგნატმა რავი სანგიმ თხოვნით მიმართა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტს ფლორენსიო კამპომანესს შეამციროს ფინალის საპრიზო ფონდი. თუ ადრე „სანგი ინდასტრიზ ლიმიტედის" კომპანია მზად იყო გაეღო 2,95 მილიონი დოლარი, ახლა მას ეს თანხა ეძვირება. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინდოელთა „ფალავანი" ვიშვანათან ანანდი გვირგვინისათვის ბრძოლას გამოეთიშა.

ფიდეს ხელმძღვანელობა გულდასმით განიხილავს საჭადრაკო კომპიუტერების ტურნირებში ჩართვის შესაძლებლობას. კამპომანესს მიაჩნია, რომ ჭკვიანმა მანქანებმა მხოლოდ სპარინგ-პარტნიორობა უნდა გაუწიონ ადამიანებს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავაქციოთ ადამიანთა მეტოქეებად — ამბობს პრეზიდენტი.

სანგინაგარში ამერიკელი გროსმაისტერის გატა კამსკის მამამ რუსტამმა ერთი სკანდალის მოწყობა უკვე მოასწრო. მან [illegible]შვილის სეკუნდანტი 27 წლის ალექსანდრე შაბალოვი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ფიდემ სერიოზულად გააფრთხილა თავშეუკავებელი კამსკი-უფროსი.

## კირსან ილიუმჟინოვი: „გვირგვინი შვეიცარიის ბანკში ინახება"

კირსან ილიუმჟინოვი, როგორც მოგეხსენებათ, ყალმუხეთის პრეზიდენტია. ამ ახალგაზრდა მულტიმილიონერმა ჭადრაკის სამყაროსადმი დიდი ინტერესი გამოავლინა. იგი ფინანსურად ეხმარებოდა მოსკოვის საჭადრაკო ოლიმპიადის ორგანიზატორებს, ახლა კი ფიდესთან წინასწარი მოლაპარაკების შედეგად დასახელებულია 1998 წლის საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადების მოწყობის ერთ-ერთ პრეტენდენტად, დიდი იმედიც აქვს, რომ ამ ღონისძიებას სწორედ ყალმუხეთს მიანდობენ. აქვე გაცნობებთ, რომ 1996 წლისთვის ამ ოლიმპიადების ჩატარებას აპირებს სომხეთი, რომელმაც უკვე შეიტანა თვალსაჩინო თანხა ბეს სახით.

ჩვენმა მკითხველებმა ისიც იციან, რომ მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა თავისი წოდების შენარჩუნებასთან დაკავშირებით დიდ ფულად ჯილდოსთან ერთად საჩუქრად თვალ-მარგალიტით მოჭედილი გვირგვინიც მიიღო. მან მაშინვე განაცხადა, რომ ამ გვირგვინს აუქციონზე გაყიდდა და მთელ აღებულ თანხას ბაქოდან გაქცეულ სომეხ ლტოლვილებს მოახმარდა, რაც განხორციელდა კიდეც და აუქციონზე იგი სწორედ პრეზიდენტმა ილიუმჟინოვმა შეიძინა.

ამას წინათ ილიუმჟინოვს ჰკითხეს, სად ინახავს იგი გვირგვინს?

„— შვეიცარიის ბანკში" — იყო პასუხი.

# ხუთი რგოლის გარშემო

## ხარჯები გაიზარდა

ატლანტის მერიის კომისიამ, რომელიც აკონტროლებს 1996 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ყველა ასპექტს, მოიწონა სპორტნაგებობათა მშენებლობის გეგმა და 516 მილიონ დოლარამდე გაზარდა ხარჯები. ორგანიზატორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კალათბურთის დარბაზის მშენებლობას, რომელიც მწყობრში ჩადგება 1996 [illegible]ის დასაწყისისთვის. ოლიმპიადის წ[illegible]რების შემდეგ ეს დარბაზი მუდამთ[illegible]ღერ სარგებლობაში გადავა. ნიციპალ[illegible]ციო კომიტეტმა მიიღო, საორგანიზაც[illegible]ვეტილება, რომ ოლიაგრეთვე, გადაწ[illegible]ორმაგად გაუზამპიადის დღეებში [illegible]იას. რდოს ხელფასი პოლიც[illegible]

## ოლიმპიური სოლიდარობა

ავსტრიის ქალაქ ინსბრუკის მერმა ჰარვიგ ვან სტაამ და მისმა ბარსელონელმა კოლეგამ პასკუალ მარაგალმა მოითათბირეს, რომ შექმნან სარაევოს დამხმარე საერთაშორისო ფონდი. იდეა ამ ფონდისა მდგომარეობს იმაში, რომ წარსული ოლიმპიადების დედაქალაქებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მრავალტანჯული სარაევოს აღორძინების კეთილშობილურ საქმეში, რაც განყენებულ თანაგრძნობას კი არა, კონკრეტულ დახმარებას ეხება. ამ დახმარებაში იგულისხმება ქალაქის წყალსადენის აღდგენა, გზებისა და საზოგადოებრივი ნაგებობების შეკეთება, ტრანსპორტის მუშაობის გამართვა. ინსბრუკის მერი ამას წინათ იმყოფებოდა სარაევოში, სადაც აღინიშნა ქალაქის ინტენსიური დაბომბვის მეათასე დღე.

## კეთილი ნების ზამთრის თამაშები

ნორვეგიის ქალაქ ლილეჰამერის მერმა აუდინ ტონიმ, რომელმაც თავის კოლეგებთან ერთად წარმატებით გაართვა თავი 1994 წლის თეთრ ოლიმპიადას, თხოვნით მიმართა ამერიკელ ბიზნესმენს ტედ ტერნერს და კეთილი ნების თამაშების რუს ორგანიზატორებს, რათა 1999 წელს ლილეჰამერში მოაწყონ კეთილი ნების ზამთრის თამაშები. ეს წინადადება ოდნავადაც არ არის უტოპიური, ვინაიდან თამაშების დამფუძნებელს ტედ ტერნერს თავადაც არაერთხელ გამოუთქვამს ანალოგიური სურვილი.

I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| ისრაელი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 2-0 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| სლოვაკეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-8 | 0 |

ახლა, როდესაც გუნდებმა თითქმის გათამაშების შუაგულს მიაღწიეს, შეიძლება ითქვას, რომ ამ ჯგუფში ბოლომდე განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლა იქნება, უმთავრესი ფავორიტი რუმინეთის ნაკრებია, მაგრამ მეორე საპრიზო ადგილზე თითქმის ყველა დანარჩენი (აზერბაიჯანის გარდა) აცხადებს პრეტენზიას.

რუმინეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ რაიმე არსებითი დანაკლისი არ განუცდია, დამატებით კი დაემატა მრავალნაცადი ლეკეტუში, ამასთან, მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ სულაც არ ემდურის პაჯის, რომელიც „ბარსელონას" ხელმძღვანელობის მოწმობით, ესპანეთში აშკარად სუსტად თამაშობს.

ისრაელის ნაკრების წარმატება გარკვეული სიურპრიზია, რაც შეეხება ფრანგების გუნდს, მწვრთნელი ემე უაკე აქ ექსპერიმენტების გზას დაადგა. დაცვაში, თითქოს, დიდი პრობლემები არ არის, საიმედოდ თამაშობს მეკარე ბერნარ ლამა, თავდასხმის ეფექტიანობა კი აშკარად არადამაკმაყოფილებელია. მწვრთნელმა რამდენიმეჯერ გამოსცადა ნანტელი უედეკი. უცვლელად მხოლოდ გამოცდილი კანტონა გამოდის, თუმცა მასაც შეეხო ფრანგი მიმომხილველების კრიტიკა. კანტონა რახან ნაკრების კაპიტანია, ბევრი სწორედ მასზე ცდილობს ჯოხის გადატეხას. სამი ნულოვანი ფრე ზედიზედ? ასეთი რამ საფრანგეთის ნაკრებს არ ახსოვს". მართალია, ამის შემდეგ ფრანგებმა, როგორც იყო, შეძლეს ტრაპიზონში აზერბაიჯანის ნაკრების დამარცხება.

პოლონელი ოსტატები ახლა იტალიაშიც თამაშობენ, პორტუგალიაშიც და საბერძნეთშიც, მაგრამ ნაკრები ჯერჯერობით სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს. ფრანგებთან ზაბჟეს „გურნიკის" სტადიონზე მასპინძლებს თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ზედმეტი მოთამაშე ჰყავდათ (კარამბემ ორი ყვითელი ბარათის გამო დატოვა მინდორი), მაგრამ ვერ შეძლეს ამ უპირატესობის გამოყენება. სლოვაკეთის ნაკრები ევროპულ ასპარეზზე პირველ ნაბიჯს კი დგამს, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი ოსტატებით არის დაკომპლექტებული. პეტერ დუბოვსკი, მაგალითად, მადრიდის „რეალში" გამოდის. სლოვაკები, ცხადია, ჯერჯერობით არ კარგავენ იმედს, აზერბაიჯანის ნაკრები კი, რომლის შემადგენლობაში ბევრი ჩვენი ნაცნობია ბაქოს „ნეფთჩიდან", ეტყობა, ასეთ „კომპანიაში" ვერაფერს გახდება.

II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-2 | 12 |
| მაკედონია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| კვიპროსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| ბელგია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

თავდაპირველად ორი რამ უნდა აღინიშნოს: ესპანეთის ნაკრების დიდი მიღწევა და ბელგიელთა მეტად სერიოზული მარცხი, თუ ესპანელებს თითქმის უკვე გარანტირებული აქვთ ფინალში გასვლა, ბელგიელებსაც ჯერ კიდევ რჩებათ მდგომარეობის გამოსწორების საშუალება.

ესპანეთის ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა მსოფლიო ჩემპიონატზე. ახლა მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ ერთ ახალ თავისებურ „სვლას" მიმართა: მან ესპანეთის მოქალაქეობა მიალებინა 31 წლის ბრაზილიელ ნახევარმცველ დონატოს, რომელიც კარგა ხანია ამ ქვეყნის ლიგაში თამაშობს. და აი დონატოს დებიუტი ჰქონდა დანიელებთან პრინციპულ მატჩში, გოლიც გაიტანა (მატჩის შედეგია 3-0) და ესპანელებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს „დანიელთა მესაფლავეების" კარგა ხნის წინ შექმნილი რეპუტაცია. აი რა განაცხადა ხ. კლემენტემ: „დონატოს დებიუტი ფანტასტიკური აღმოჩნდა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი მცველების მოქმედებით, რომლებმაც გასაქანი არ მისცეს მიქაელ ლაუდრუპს, დანიელთაგან ყველაზე უფრო საშიშს." კვლავინდებურად ძლიერად თამაშობს ორი ვეტერანი: 34 წლის მეკარე ანდონი სუბისარეტა და 33 წლის თავდამსხმელი ხულიო სალინასი. კლემენტე, რა თქმა უნდა, არ ეთანხმება „ბარსელონას" მწვრთნელ იოჰან კრუიფს, რომელიც განვლილ ზაფხულში ამ ვეტერანებს გამოეთხოვა.

ძალიან მძიმე დღეები დაუდგა ბელგიელთა მწვრთნელ პოლ ვან ჰიმსტს მას შემდეგ, რაც გუნდმა ბრიუსელში სასტიკი მარცხი იგემა (1-4) ესპანელთაგან, ბელგიელი მიმომხილველები ერთხმად მოითხოვენ მის გადადგომას, ნაკრებში ყველაფერი აირდაირია. თვით განთქმული მიშელ პრიუდომიც კი, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე, ამჟამად სუსტად თამაშობს.

მეორე ადგილისათვის ბრძოლაში დანიელებსა და ბელგიელებს შეიძლება კონკურენცია მაკედონიელებმაც გაუწიონ, ეს გუნდი დიდი შეუპოვრობით გამოირჩევა, მისი ერთადერთი ვარსკვლავია განთქმული სნაიპერი დანკო პანჩევი, რომელიც ახლა მილანის „ინტერში" თამაშობს.

რაც შეეხება კვიპროსისა და სომხეთის ნაკრებებს, როგორც ჩანს, მათი ერთადერთი საზრუნავი ბოლო ადგილიდან თავის დაღწევა იქნება.

III ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 9 |
| შვეცია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 8-4 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

ეს ჯგუფი ერთადერთია, საიდანაც ფინალში მხოლოდ პირველ ადგილზე გასული ხვდება. ეს, ცხადია, თავისებურ დაღს ასვამს ბრძოლას. პრეტენდენტი ძირითადად ორია: მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი შვეცია და შვეიცარიელები, რომლებსაც აშშ-ში ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ.

ჯერჯერობით ყველაფერი შვეიცარიელთა სასარგებლოდ წარიმართა. მათ შეძლეს უშუალო შეხვედრაში საკუთარ მინდორზე შვედების დამარცხება, გარდა ამისა, მომდევნო მატჩში შვედებმა უნგრელებთან კარგა ხნით დაკარგეს თავიანთი წამყვანი ფეხბურთელი თომას ბროლინი. ფიქრობენ, რომ იგი პირველ საგაზაფხულო მატჩებში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

ინგლისელ სპეციალისტ როი ჰოდჯსონს შვეიცარიის ნაკრებში მართლაც დიდი წარმატებები აქვს. მიმომხილველები აღნიშნავენ მეკარე მარკო პასკოლოს, მცველ ალენ გაიგერს, აგრეთვე, თავდამსხმელების ალენ სუტერისა და სტეფან შაპიუზას ძლიერ თამაშს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰოდჯსონმა ნაკრებში ალადგინა თურქილმაზი, შვეიცარიული პასპორტის მქონე თურქი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში არ მონაწილეობდა.

მართალია, ბროლინი გამოაკლდათ, მაგრამ შვეციის ნაკრების მწვრთნელი თომას სვენსონი, იმედს არ კარგავს. შვედებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საპასუხო მატჩს შვეიცარიელებთან. საკუთარ მინდორზე სვენსონს მოგების შესაძლებლობები აქვს, მით უმეტეს, რომ მისი თავდასხმა (ჯენეტ ანდერსონი, მარტინ დალინი, ჰენრიკ ლარსონი) შესანიშნავად თამაშობს.

თუ არ ვცდებით, 1966 წლის ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ უნგრეთს, ამ მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყანას, ხეირიანი ნაკრები არა ჰყოლია. გაუთავებლად იცვლებიან მწვრთნელები, ამ თანამდებობაზე უკვე მესამედ მიიწვიეს კალმან მესეი. იგი ჯერჯერობით ნაკლებად ცვლის შემადგენლობას, სამი მატჩიდან ორი წაგების შემდეგ და ისიც მოკლე დისტანციაზე, მესეი, ეტყობა, შეურიგდა იმ აზრს, რომ იგი ინგლისში ვერ გაემგზავრება და ჯობს გუნდის თანდათანობით გადახალისებაზე, მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატზე იზრუნოს.

თურქებსა და ისლანდიელებსაც, ცხადია, დიდი ამბიციები ვერ ექნებათ, შეუპოვრობით განთქმული ისლანდიელების ასეთი მარცხი მაინც რამდენადმე მოულოდნელია. ასეა თუ ისე, შვეიცარიელთა მწვრთნელი ძალიან კმაყოფილი დარჩა, როცა, თუმცა, მინიმალური ანგარიშით, მაინც მოუგო, მისი სიტყვებით „ესოდენ გაჯიუტებულ" მეტოქეებს.

IV ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| ლიტვა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| უკრაინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| სლოვენია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

ის, რომ ხორვატიის ნაკრები ფინალში გასვლისათვის იბრძვის, არავისთვის მოულოდნელი არ არის. ეს გუნდი ახლა უდავოდ უძლიერესია იმ ხუთ ნაკრებს შორის, რომლებიც იუგოსლავიის დაშლის შემდეგ შეიქმნა. სწორედ აქ გამოდიან გამოჩენილი ოსტატები ალენ ბოკშიჩი (რომის „ლაციო"), დავორ შუკერი („სევილია"), ზვონიმირ ბობანი („მილანი"), რობერტ პროსინეჩკი (მადრიდის „რეალი", რომელმაც იგი დროებით „ოვიედოს" ათხოვა) და სხვები. გუნდს წვრთნის მიროსლავ ბლაჟევიჩი, რომელსაც ეხმარება გამოჩენილი სპეციალისტი ტომისლავ ივიჩი.

რა თქმა უნდა, ხორვატების მთავარი მიღწევა იყო პალერმოს „ლა ფორტუნას" სტადიონზე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონების იტალიელების დამარცხება. ბევრმა მიმომხილველმა ეს წაგება მთლიანად არიგო საკის დააბრალა, რომელიც აღარ ამთავრებს ამ ორი წლის წინ დაწყებულ ექსპერიმენტებს. გადავხედოთ იტალიელთა შემადგენლობას ამ მატჩში: პალიუკა, ნეგრო, კოსტაკურტა, მალდინი, პანუჩი, ალბერტინი (დი მათეო), დ. ბაჯო, ლომბარდო, რამბაუდი (დონადონი), კაზირაგი, რ. ბაჯო. ცვლილება დაცვაში იმით აიხსნება, რომ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა მისმა კაპიტანმა ბარეზიმ. და აი ამ გადახალისებულმა დაცვამ ძალზე სუსტად ითამაშა, ხორვატებს მეტი გოლის გატანაც შეეძლოთ. რაც შეეხება წინა ხაზს (აქ, როგორც შენიშნეთ, არც სინიორი იყო და არც მასარო), იგი ნამდვილად უკბილოდ ჩანდა. ამ წაგებამ აშკარად შეარყია იტალიის ნაკრების ავტორიტეტი, ბევრი სპეციალისტი საკის გადადგომასაც მოითხოვს. რა თქმა უნდა, მდგომარეობის გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება, თუმცა, იმასაც იხსენებენ, რომ იტალიელები ვერც წინა, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოხვდნენ.

ურიგოდ როდი გამოიყურება ლიტვის ნაკრები, რომელშიც უწინდელი ვილნიუსის „ჟალგირისის" ბევრი ცნობილი ოსტატი თამაშობს.

ლიტველების გარდა ფინალში გასვლას უკრაინელებიც შეეცდებიან. მისი მწვრთნელების განკარგულებაში არიან „ლეგიონერები" პროტასოვი, ლიტოვჩენკო, მიხაილიჩენკო, ო. კუზნეცოვი, მოსკოვის „სპარტაკის" ახლანდელი მეკარე ტიაპუშკინი, უკრაინაში მოთამაშეთაგან — გამოცდილი ლეჟენი, ბეჟენარი, კოვალეცი, ბოლო წლებში დაწინაურებული სნაიპერი ლეონინენკო და 19 წლის ფრიად პერსპექტიული მეკარე შოვკოვსკი.

ერთი სიტყვით, ამ ჯგუფში ძირითადი ბრძოლა წინ არის, ამასთან, თუ უპირატესობა ხორვატებს ენიჭებათ, მეორე ადგილის ბედი ჯერ ბუნდოვანია.

(დასასრული იქნება)

## ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

UEFA EURO 96 England

მოახლოვდა გაზაფხული, მოახლოვდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები საკვალიფიკაციო ჯგუფებში, რომელთაც გულშემატკივრები მოუთმენლად მოელიან. წინაა მეტად დაძაბული, საინტერესო ბრძოლა.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მკითხველთა ყურადღებას მიიპყრობს მიმოხილვითი წერილი, რომელიც განიხილავს საკონტინენტო პირველობის მდგომარეობას წინასწარ ჯგუფებში, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული გუნდების საერთო პერსპექტივებს და შესაძლებლობებს, მათ შანსებს 1996 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელიც ინგლისის სტადიონებზე უნდა გაიმართოს.

## მსოფლიო ჩემპიონატის შემოსავალი

„ნიუს ფიფამ" გამოაქვეყნა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საბალანსო ანგარიში.

შეჯიბრების საერთო შემოსავალმა (ბილეთების გასაღება, ტელეგადაცემათა უფლება, ჩემპიონატის სიმბოლიკის გაყიდვა, სუვენირები და სხვა) სულ 292 842 000 შვეიცარიული ფრანკი შეადგინა. ამ თანხიდან დაიხარჯა 168 681 641 ფრანკი (ფიფას და საორგანიზაციო კომიტეტის ხარჯები, სტადიონების ქირა, გუნდების მგზავრობა და დაბინავება, კვება, სასტუმროები, ოფიციალურ პირთა ხელფასი, სადოპინგო კონტროლი და ა.შ.). შემოსავლის 70 პროცენტი დაურიგდა შეჯიბრების მონაწილე ფედერაციებს, ხოლო 30 პროცენტი — საორგანიზაციო კომიტეტს და საკონტინენტო კონფედერაციებს.

თითოეულ გუნდს ყოველი მატჩისთვის გადაეცა 835 701 ფრანკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ფეხბურთის ელიტა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ პორტუგალიის დედაქალაქში მოაწყო საზეიმო პრეზენტაცია, რომელიც მიეძღვნა განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებს. აქვე გაიმართა კენჭისყრა. მასში მონაწილეობდნენ ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელები (100-ზე მეტი), მათ უნდა დაესახელებინათ მსოფლიოს 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

კენჭისყრამ გამოავლინა ასეთი ფეხბურთელი. ეს გახლავთ ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი რომარიო, მსოფლიო ჩემპიონი, რომელიც ესპანეთის ცნობილ „ბარსელონაში" გამოდიოდა.

მეორე ადგილი მიეკუთვნა ბულგარელ თავდამსხმელს ხრისტო სტოიჩკოვს (ისიც „ბარსელონას" წევრია), მესამე, წილად ხვდა იტალიელ რობერტო ბაჯოს, იტალიის „იუვენტუსის" თავდამსხმელს, რომელიც 1993 წლის შედეგების მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად იყო მიჩნეული.

ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა საპატიო პრიზები (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ბურთი) გადასცა მსოფლიო ფეხბურთის ელიტის წარმომადგენლებს.

# „მილანის" გამარჯვება

ევროპის სუპერთასის საპასუხო მატჩი ფეხბურთში, მილანში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონთა თასის მფლობელი იტალიის „მილანი" და თასების მფლობელთა თასის მპყრობელი ინგლისის „არსენალი" (პირველი თამაში ლონდონში დამთავრდა ფრედ — 0:0).

მილანელებმა დიდი ოსტატობით ითამაშეს და გამარჯვებას მიაღწიეს ანგარიშით 2-0. იტალიის ეს კლუბი უკვე მესამედ დაეუფლა კონტინენტის საპატიო პრიზს.

# 5 ქართველი ფეხბურთელი შეპეტოვკაში!

მეკარე [illegible] ქართველი [illegible] გიორგი ჩიხრაძე, [illegible] მო[illegible] შეები იური გაბისკირია, ტ[illegible] ძმები ავთანდილ და ტარიელ კაპანაძეები — ქართველ ფეხბურთის მოყვარულთათვის ცნობილი ეს ხუთი მოთამაშე ახლა შეპეტოვკის „ტემპში" გამოდის. გუნდის მწვრთნელი ლეონიდ ტკაჩენკო მოგვითხრობს:

— ეს რომ ავანტიურა იყოს, უმაღლეს ლიგაში არ ვითამაშებდით. ჩვენი მეპატრონე და პრეზიდენტი ჯუმბერ ნიშნიაძე რისკიანი კაცია, მაგრამ ავანტიურისტი სულაც არ გახლავთ. მან ჩვენს პირობებში სრულიად უნიკალური სტრუქტურა შექმნა.

● **კარგად გვახსოვს, როცა უკრაინა საკავშირო ჩემპიონატიდან გამოსვლის საკითხს წყვეტდა, მოწინააღმდეგეები ამბობდნენ: „განა „დინამომ", „ჩერნომორეცმა", „დნეპრმა", „შახტიორმა" შეპეტოვკაში უნდა ითამაშონ?**

— 1992 წელს ჩემთვის, ხარკოვის „მეტალისტის" მწვრთნელისთვის რომ ეთქვათ ორი წლის შემდეგ ხარკოვს უკრაინის პირველ ლიგაში ეყოლება გუნდი, შეპეტოვკას კი უმაღლესშიო — ნებისმიერ ნიძლავზე დავთანხმდებოდი, მაგრამ, როგორც ხედავთ, სწორედ ასე მოხდა.

● **თქვენ შეპეტოვკაში მაშინ დაიწყეთ მუშაობა, როცა გუნდი პირველიდან უმაღლეს ლიგაში გადავიდა?**

— დიახ, ჩვენს წინაშე ამოცანა იდგა უმაღლეს ლიგაში არავითარ შემთხვევაში ქულების დამრიგებლები არ ვყოფილიყავით და ამ მხრივ ზოგ წარმატებას მივაღწიეთ კიდეც — ბევრ გრანდს გავუშრეთ სისხლი. რაც შეეხება უმაღლესი ლიგის დატოვებას, ამაზე საერთოდ არასოდეს ყოფილა ლაპარაკი.

● **ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კერძო საშუალებებით შექმნილი გუნდი უკეთეს შემთხვევაში ცხრილში საშუალო ადგილს დაიკავებს?**

— დღევანდელ პირობებში, ეტყობა, ეს ასეა.

● **და თქვენ თანახმა ხართ იმუშაოთ ასეთ პირობებში, როცა „ჭერია" რაღაც საშუალო ადგილი?**

— მე კონტრაქტით ვმუშაობ. ახალი იდეა უჩვეულო იყო, მე მთელი ჩემი შესაძლებლობებით შევეცადე მის განხორციელებას და მიზანსაც მივაღწიე. ამიტომ დიდად მადლობელი ვარ ნიშნიანიძისა, რომ შეპეტოვკაში ასეთი ექსპერიმენტის განხორციელების საშუალება მომცა.

მოამზადა
ᲒᲘᲕᲘ ᲗᲝᲠᲔᲚᲛᲐ

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## VI ჩემპიონატის I ჯგუფის მეორე წრის კალენდარი

6, 10 მარტი
თასის გათამაშება, მეოთხედფინალი

**XVI ტური, 14 მარტი, სამშაბათი**
„დურუჯი" — „დინამო" (თბ)
„კახეთი" — „კოლხეთი-1913"
„სამგურალი" — „ტორპედო"
„საპოვნელა" — „სამტრედია"
„დინამო (ზგ) — „დინამო" (ბთ)
„ივერია" — „გურია"
„დილა" — „მარგვეთი"
„მეტალურგი" — „შევარდენი-1906"

**XVII ტური, 18 მარტი, შაბათი**
„დილა" — „დურუჯი"
„მარგვეთი" — „ივერია"
„გურია" — „მეტალურგი"
„დინამო" (ბთ) — „საპოვნელა"
„სამტრედია" — „სამგურალი"
„ტორპედო" — „კახეთი"
„კოლხეთი-1913" — „დინამო" (თბ)
„შევარდენი-1906" — „დინამო" (ზგ)

**XVIII ტური, 22 მარტი, ოთხშაბათი**
„დურუჯი" — „კოლხეთი-1913"
„დინამო" (თბ) — „ტორპედო"
„კახეთი" — „სამტრედია"
„სამგურალი" — „დინამო" (ბთ)
საპოვნელა" — „შევარდენი-1906"
„დინამო" (ზგ) — „გურია"
„მეტალურგი" — „მარგვეთი"
„ივერია" — „დილა"

**XIX ტური, 2 აპრილი, კვირა**
„ივერია" — „დურუჯი"
„დილა" — „მეტალურგი"
„მარგვეთი" — „დინამო" (ზგ)
„გურია" — „საპოვნელა"
„დინამო" (ბთ) — „კახეთი"
„შევარდენი-1906 — „სამგურალი"
„სამტრედია" — „დინამო" (თბ)
„ტორპედო" — „კოლხეთი-1913"

**XX ტური, 6 აპრილი, ხუთშაბათი**
„დურუჯი" — „ტორპედო"
„კოლხეთი-1913" — „სამტრედია"
„კახეთი" — „შევარდენი-1906"
„სამგურალი" — „გურია"
„საპოვნელა" — „მარგვეთი"
„დინამო" (ზგ) — „დილა"
„მეტალურგი" — „ივერია"
„დინამო" (თბ) — „დინამო" (ბთ)

**XXI ტური, 10 აპრილი, ორშაბათი**
„მეტალურგი" — „დურუჯი"
„ივერია" — „დინამო" (ზგ)
„დილა" — „საპოვნელა"
„მარგვეთი" — „სამგურალი"
„გურია" — „კახეთი"
„დინამო" (ბთ) — „კოლხეთი-1913"
„სამტრედია" — „ტორპედო"
„შევარდენი-1906" — „დინამო" (თბ)

**13 აპრილი, ხუთშაბათი**
**თასის გათამაშება, ნახევარფინალი.**
**XXII ტური, 16 აპრილი, კვირა**
„დურუჯი" — „სამტრედია"
„ტორპედო" — „დინამო" (ბთ)
„კოლხეთი-1913" — „შევარდენი-1906"
„დინამო" (თბ) — „გურია"
„კახეთი" — „მარგვეთი"
„სამგურალი" — „დილა"
„საპოვნელა" — „ივერია"
„დინამო" (ზგ) — „მეტალურგი"

**XXIII ტური, 20 აპრილი, ხუთშაბათი**
„დინამო" (ზგ) — „დურუჯი"
„მეტალურგი" — „საპოვნელა"
„ივერია" — „სამგურალი"
„დილა" — „კახეთი"
„მარგვეთი" — „დინამო" (თბ)
„გურია" — „კოლხეთი-1913"
„შევარდენი-1906" — „ტორპედო"
„დინამო" (ბთ) — „სამტრედია"

**XXIV ტური, 29 აპრილი, შაბათი**
„დურუჯი" — „დინამო" (ბთ)
„სამტრედია" — „შევარდენი-1906"
„ტორპედო" — „გურია"
„კოლხეთი-1913" — „მარგვეთი"
„დინამო" (თბ) — „დილა"
„კახეთი" — „ივერია"
„სამგურალი" — „მეტალურგი"
„საპოვნელა" — „დინამო" (ზგ)

**XXV ტური, 3 მაისი, ოთხშაბათი**
„საპოვნელა" — „დურუჯი"
„დინამო" (ზგ) — „სამგურალი"
„მეტალურგი" — „კახეთი"
„ივერია" — „დინამო" (თბ)
„დილა" — „კოლხეთი-1913"
„მარგვეთი" — „ტორპედო"
„გურია" — „სამტრედია"
„შევარდენი-1906" — „დინამო" (ბთ)

**XXVI ტური, 7 მაისი, კვირა**
„დურუჯი" — „შევარდენი-1906"
„დინამო" (ბთ) — „გურია"
„სამტრედია" — „მარგვეთი"
„ტორპედო" — „დილა"
„კოლხეთი-1913" — „ივერია"
„დინამო" (თბ) — „მეტალურგი"
„კახეთი" — „დინამო" (ზგ)
„სამგურალი" — „საპოვნელა"

**XXVII ტური, 11 მაისი, ხუთშაბათი**
„სამგურალი" — „დურუჯი"
„საპოვნელა" — „კახეთი"
„დინამო" (ზგ) — „დინამო" (თბ)
„მეტალურგი" — „კოლხეთი-1913"
„ივერია" — „ტორპედო"
„დილა" — „სამტრედია"
„მარგვეთი" — „დინამო" (ბთ)
„გურია" — „შევარდენი-1906"

**1[illegible] მაისი, ორშაბათი**
**თასის გათამაშების ნახევარფინალი**
**XXVIII ტური, 18 მაისი, ხუთშაბათი**
„დურუჯი" — „გურია"
„შევარდენი-1906" — „მარგვეთი"
„დინამო" (ბთ) — „დილა"
„სამტრედია" — „ივერია"
„ტორპედო" — „მეტალურგი"
„კოლხეთი-1913" — „დინამო" (ზგ)
„კახეთი" — „სამგურალი"
„დინამო" (თბ) — „საპოვნელა"

**XXIX ტური, 22 მაისი, ორშაბათი**
„კახეთი" — „დურუჯი"
„სამგურალი" — „დინამო" (თბ)
„საპოვნელა" — „კოლხეთი-1913"
„დინამო" (ზგ) — „ტორპედო"
„მეტალურგი" — „სამტრედია"
„ივერია" — „დინამო" (ბთ)
„მარგვეთი" — „გურია"
„დილა" — „შევარდენი-1906

**26 მაისი, პარასკევი**
**თასის გათამაშება, ფინალი.**
**XXX ტური, 31 მაისი, ორშაბათი**
„დურუჯი — „მარგვეთი"
„გურია" — „დილა"
„შევარდენი-1906" — „ივერია"
„დინამო" (ბთ) — „მეტალურგი"
„სამტრედია" — „დინამო" (ზგ)
„ტორპედო" — „საპოვნელა"
„კოლხეთი-1913" — „სამგურალი"
„დინამო" (თბ) — „კახეთი"

# ფინალი — მეოთხედფინალში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყო ეროვნული თასის მეხუთე გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრა.

მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

„დინამო" (ზუგდიდი) — „გურია" (ლანჩხუთი)

„სამტრედია" (სამტრედია) — „დინამო" (თბილისი)

„დინამო" (ბათუმი) — „საპოვნელა" (თერჯოლა)

„ქიზიყი" (წნორი) — „მეტალურგი" (რუსთავი)

მატჩები გაიმართება 6 და 10 მარტს.

როგორც ხედავთ, წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერები სამტრედიელები და თბილისელები უკვე მეოთხედფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

# იურგენ კლინსმანი — „ჯადოსნური მსროლელი"

(დასაწყისი იხ. 1-ელ გვერდზე).

გარღვევებით საგონებელში აგდებს მეტოქეებს.

ჰკითხეთ ნებისმიერი ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებს, აუცილებლად გეტყვიან მაღალი კლასის თავდამსხმელები გვაკლიაო. სხვამ რაღა უნდა თქვას, როცა გერმანიაშიც მუდამ ამას ჩივიან. ასე ამტკიცებდნენ ზეელერისა და მიულერის დროს, ასეა ახლაც.

იურგენს ნაკრებში დებიუტი 1987 წლის 12 დეკემბერს ჰქონდა ბრაზილიელებთან (1:1). ამ დროს გერმანელები სამხრეთ ამერიკაში ტურნეს მართავდნენ, ბრაზილიელებთან მატჩში კლინსმანი შემცვლელად გამოვიდა. მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის, შეუძლია ბარში წავიდეს, ცოტა დალიოს კიდეც, რაც უნდა ის გააკეთოს, მაგრამ როცა მატჩის დღე დგება, თავი მოვალედ მიაჩნია ყოველნაირად მზად იყოს.

1987 წელს კლინსმანმა ბუნდესლიგაში 19 გოლი გაიტანა. როგორც „შტუტგარტის" მაშინდელი მწვრთნელი, ჰოლანდიელი არი ჰაანი ამბობდა, „კლინსმანის უგოლებოდ გუნდისგან აღარაფერი დარჩებოდა", ახლა სნაიპერს უკვე ყოველი მხრიდან ეპატიჟებოდნენ, 1988 წელს ევროპის პირველობაზეც ითამაშა და სეულის ოლიმპიადაზეც, სადაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. კლინსმანს ყურადღება მიაქცია მილანის „ინტერნაციონალემ", რომელმაც ევროპის პირველობის დამთავრების შემდეგ მათეუსსა და ბრემესთან გააფორმა ხელშეკრულება, კლინსმანთან კონტრაქტის დადებას კი მოერიდა — ჭირვეული ხასიათი აქვსო. 1989 წელს გარიგება მაინც შედგა, ამასთან, „ინტერმა" უჩვეულო ხელმომჭირნეობა გამოიჩინა და კლინსმანის საფასურად „მხოლოდ" 3,8 მილიონი მარკა გადაიხადა. იტალიის პრესა წერდა მილანელებმა ასეთი კლასის თავდამსხმელი ჩალის ფასად იშოვეს, სამი ამდენი ღირდაო, თვით კლინსმანს კი არაფერი უთქვამს: ჯერ ერთი, იგი ყოველთვის აცხადებდა, რომ ფული მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა, მეორეც, — ძალიან უნდოდა იტალიაში თამაში.

ახალ კლუბში კლინსმანმა სწრაფად გაითქვა სახელი, მას თავის მუდმივ პარტნიორებთან ბრემესა და მათეუსთან ერთად უხდებოდა თამაში, „ინტერი" იტალიის ჩემპიონიც გახდა და უეფას თასს დაეუფლა.

● **კმაყოფილი ხართ, „ინტერში" რომ თამაშობთ?** — ჰკითხეს კლინსმანს.

— უკეთესი კლუბი ძნელი მოსაძებნია, ევროპაში სულ ხუთი-ექვსი გუნდია „ინტერის" დონეზე რომ თამაშობს — „იუვენტუსი", „მილანი", „რეალი", „ბარსელონა", მიუნხენის „ბაიერნი", მაგრამ ისინი მე არ მიზიდავენ.

● **როგორი აზრის ხართ იტალიელებზე?**

— მიყვარს მათი ენა, კულინარული ხელოვნება, მომწონს ავტომანქანების ტარების მანერა და თუმცა ისინი ტემპერამენტით აღსავსენი არიან, აგრესიულობას ვერ ვამჩნევ, მომწონს ფეხბურთისადმი მათი მიდგომაც, ფეხბურთი აქ სპორტზე მეტი გახლავთ, იგი ეროვნული კულტურის ნაწილია.

● **რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?**

— ათი წელი პროფესიული ფეხბურთისთვის სრულიად საკმარისია.

● **არ გეშინიათ უფეხბურთოდ რომ დარჩებით?**

— ფეხბურთი ჩემი პროფესიაა, სიცოცხლე კი არა. ვნატრობ კიდევ იმ დროს, როცა თამაშს მივატოვებ, ერთი რამ კი ცხადია — მწვრთნელი არასოდეს გავხდები.

სანამ ტრაპატონი „ინტერში" იყო, გუნდი ნამდვილად ბრწყინავდა, მაგრამ აი ამ მრავალნაცადმა მწვრთნელმა „იუვენტუსში" დაბრუნება არჩია. მილანელთა კლუბში ყველაფერი შეიცვალა, ამასთან, თვით კლინსმანიც დაშავდა და ევროპის პირველობის დაწყების წინ ძლივს გამომჯობინდა.

ერთი რამ ცხადია — კლინსმანს აქვს თავისი ძალების კონცენტრაციის უნარი. საჭირო მომენტში იგი ყოველთვის მწყობრშია. ხომ დაამახსოვრდათ მაყურებლებს მისი თამაში ევროპის 1988 წლის ჩემპიონატში, იგივე განმეორდა ორი წლის შემდეგ იტალიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე შვეციაშიც ევროპის 1992 წლის პირველობაზე, გნებავთ 1994 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს. ისიც ვთქვათ, რომ „ინტერიდან" წასვლის შემდეგ კლინსმანი „მონაკოს" წამყვანი თავდამსხმელი იყო, ახლა კი ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში" ბრწყინავს.

როცა ევროპისა თუ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის სპეციალისტები სიმბოლურ ნაკრებებსა თუ რეიტინგებს ადგენენ, „ჯადოსნურ მსროლელს" არავინ გამოტოვებს ხოლმე. კლინსმანი ხომ ის თავდამსხმელია, რომელსაც მრავალი ქვეყნიდან ეპატიჟებიან, გერმანული კლუბები კი ყოველთვის მისი დაბრუნების ცდაში არიან.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

74 წლისა კიბოთი გარდაიცვალა სერ ჯონ სმითი — „ლივერპულის" პრეზიდენტი კლუბის ალმავლობის (1973-90 წ.წ.) პერიოდში.

პელემ უარყო რომარიოს წინადადება მონაწილეობა მიიღოს საქველმოქმედო მატჩში. მიწისძვრით დაზარალებულ იაპონელთა დასახმარებლად.

სტოიჩკოვის განცხადებით მისი თამაში „ბარსელონაში" საეჭვოა, ვინაიდან ვერაფრით გამონახა საერთო ენა იოჰან კროიფთან.

აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ კონტინენტის თასის გათამაშება დანიშნულია 1996 წლის 13 იანვარ — 3 თებერვალს (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

„ბოკა ხუნიორსის" კლუბის სალაროდან მძარცველებმა გაიტაცეს 30 ათასი დოლარი — არგენტინელ ფეხბურთელთა ხელფასის ნაწილი.

იტალიელ ნავთობის მაგნატ მასიმო მორატის განუზრახავს „ინტერის" ყიდვა და ამის თაობაზე მოლაპარაკება აქვს კლუბის პრეზიდენტ ერნესტო პელეგრინისთან.

ფრანც ბეკენბაუერმა კიდევ 10 წლით გააგრძელა კონტრაქტი „ადიდასთან", რაშიც 13 მილიონი დოლარი მიიღო.

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას აცხადებენ: პრომან მენდოსა (ახლანდელი პრეზიდენტი), ფლორენსიო პერესი და სანტიაგო გომესი (ორთავე ადმინისტრაციული საბჭოს წევრია).

ჰოლანდიის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია 24 წლის ფორვარდი რონალდ დე ბური („აიაქსი").

დამთავრდა ბრაზილიის „ბოტაფოგოსა" და ესპანეთის „დეპორტივოს" მოლაპარაკება ბებეტოს სამშობლოში დაბრუნების თაობაზე. 21 ივნისს ბებეტო პირველ მატჩს ჩაატარებს ბრაზილიის კლუბში.

ინგლისის — უიმბლდონის" მწვრთნელი ჯო კინერი მომხრეა, რომ მსაჯის საეჭვო გადაწყვეტილებების განხილვა და შეფასება ვიდეოჩანაწერებით მოხდეს.

ამერიკული კლუბის „ტამპას" გენერალური მენეჯერი გახდა 43 წლის ირანული წარმოშობის ამერიკელი ფარუხ კურაიში.

ინგლისის, გერმანიის, ბელგიისა და ესპანეთის ჩემპიონატების მატჩების მსაჯობის ანალიზმა ცხადყო, რომ ფიფას დირექტივებს ყველაზე ზუსტად ინგლისელი არბიტრები ასრულებენ.

ბელგიის მეორე დივიზიონის ერთ-ერთი კალენდარული მატჩის დროს „ბომის" გუნდის წევრს, 23 წლის ბრაზილიელს აუგუსტო კანდიდოს ინფარქტი დაემართა და ჰოსპიტალში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

აშშ-ს ეროვნული ნაკრების მეკარე ტონი მეოლა აპრილიდან ბრაზილიის „ბოტაფოგოში" ითამაშებს.

საფრანგეთის ერთ დროს უძლიერესი და უმდიდრესი კლუბის „ოლიმპიკის" დეფიციტი 38-47 მილიონ დოლარს შეადგენს. თუ ვალი არ დაიფარა გუნდს, არსებული წესების თანახმად, მეორედან მესამე დივიზიონში გადასვლა ემუქრება.

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ორგანიზაცია საფრანგეთს, ოფიციალური მონაცემების თანახმად 1,5 მილიარდი ფრანკი (300 მილიონი დოლარი) დაუჯდება — თქვა საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა დირექტორმა ჟაკ ლამბერმა.

# მომჭირნეობა გაჭირვების იძულებითი წამალია

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე).

პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობას ჰგავს. სჯობს კი ადრევე დავფიქრდეთ ყველაფერზე. ცხადია, წარმომადგენლობა საერთაშორისო შეჯიბრებებში, რაც სოლიდური იქნება, მით უკეთესი, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ტურისტული გასეირნება. როცა ევროპაში თუ სხვაგან საქართველოს დროშის ქვეშ სპორტსმენები დგებიან, იქ რაღაც წარმატებაც უნდა იყოს ნავარაუდევი. უბრალოდ წასვლა-წამოსვლისთვის დაგვით მოპოვებული სახსრების მომჭირნეობა გვმართებს. უმჯობესია იგი შინ სპორტსმენთა მომზადებას მოხმარდეს.

ფედერაციები და მწვრთნელები, რა თქმა უნდა, ყოველთვის თავისას ცდილობენ. ადრეც ასე იყო, მაგალითად, უმაღლეს სასწავლებელში შემომსვლელზე მწვრთნელი იტყოდა, რომ ესა თუ ის მოზარდი პერსპექტიულია და მორჩა... საწინააღმდეგოს ძნელად თუ ვინმე უმტკიცებდა, ფედერაციაც იძულებული იყო მხარი დაეჭირა. დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში ძნელია მიაღწიო იმას, რაც არასოდეს მიგიღწევია, მით უფრო თუ სპორტსმენი მოზარდია. ასე რომ, ილუზიებიდან ყველა უნდა განვთავისუფლდეთ და საღად შევაფასოთ რეალობა.

დავუბრუნდეთ სპორტის ზამთრის სახეობებს. მდგომარეობა ნამდვილად სავალალოა, მემკვიდრეობითობა თაობათა შორის როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შუა გაწყდა. როგორც ჩანს ყველაფერს ახლა თითქმის თავიდან უნდა შევუდგეთ, რაც, ცხადია, დიდ ძალისხმევას და სახსრებს მოითხოვს. საკითხი, გვინდა თუ არა სპორტის ზამთრის სახეობების რესპუბლიკაში განვითარება, არც უნდა დადგეს. რა თქმა უნდა, გვინდა, უარის უფლება არ გვაქვს. სხვაა, პრიორიტეტულად რას მივანიჭოთ უპირატესობა და მთავარია პროფესიონალიზმი. 12-14 წლის ჭაბუკები და გოგონები, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ზამთრის სახეობებში საიმედოდ გამოიყურებიან. მათზე დაგვჭირდება ყურადღების გამახვილება, ისინი მიიღებენ მონაწილეობას ორი წლის შემდეგ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში.

ახლა ანდორაში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლის შესახებ. სამთო თხილამურებში სამი მონაწილე გვყავდა — გიორგი სიხარულიძე, ზურაბ ჩოჩია და კოტე კანდელაკი. სლალომში განაცხადით 104 მონაწილე იყო. სტარტზე არ გამოცხადდა — 7. მოიხსნა — 39, მათ შორის ჩვენგან კანდელაკი და ჩოჩია. სიხარულიძე 46-ე ადგილზე გავიდა. სუპერგიგანტში (96 მონაწილიდან სტარტზე არ გამოცხადდა — 6. მოიხსნა — 12, მათ შორის ჩვენგან სამივე მონაწილე. სპეცსლალომში 97 მონაწილიდან სტარტზე არ გამოცხადდა — 1. მოიხსნა — 58). ჩოჩია 33-ე იყო, კანდელაკი 35-ე, სიხარულიძე 36-ე.

ფიგურულ სრიალში ინდივიდუალური პროგრამით საქართველოდან მონაწილეობდა ორი სპორტსმენი — ხათუნა ხარიტონაშვილი და ვახტანგ მურვანიძე. ხარიტონაშვილმა 25 მონაწილეთა შორის გაიყო 24-25-ე ადგილი, მურვანიძე მე-12 იყო 19 კონკურენტიდან.

### ქვეყნები და მედლები

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 5 | 2 | 11 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 6 |
| რუსეთი | 2 | 2 | 2 | 6 |
| უნგრეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| შვეცია | 1 | 2 | 1 | 4 |
| სლოვენია | 1 | 1 | 1 | 3 |
| შვეიცარია | 1 | 1 | — | 2 |
| პოლანდია | 1 | — | 1 | 2 |
| ავსტრია | 1 | — | — | 1 |
| ესტონეთი | — | 1 | — | 1 |
| დიდი ბრიტ. | — | — | 1 | 1 |
| გერმანია | — | — | 1 | 1 |
| ნორვეგია | — | — | 1 | 1 |
| პოლონეთი | — | 1 | — | 1 |
| რუმინეთი | — | — | 1 | 1 |
| უკრაინა | — | 1 | — | 1 |

უმედლებოდ დარჩნენ: ანდორა, სომხეთი, ბელგია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ესპანეთი, ბულგარეთი, ბელარუსი, ხორვატია, კვიპროსი, დანია, ფინეთი, მაკედონია, საქართველო, სლოვენია, საბერძნეთი, ისლანდია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მონაკო, სან-მარინო, იუგოსლავია.

თენგიზ გაჩეჩილაძე.
თბილისი-ანდორა-თბილისი.

# ნბა-ს ახალი ამბები

● „ჰიუსტონის" კალათბურთელი ვერნონ მაქსუელი ცნობილია ფიცხი ხასიათით, რისთვისაც „გადარეული მაქსი" შეარქვეს. განაწყენებული იმით, რომ ნბა-ს ჩემპიონი „ჰიუსტონი" დიდი ანგარიშით აგებდა „პორტლენდთან", მან ჩხუბი აუტეხა მაყურებლებს. მაქსს მიეხმარნენ მისი ძმა, პარტნიორი რობერტ ორი და გუნდის მეორე მწვრთნელი ლერი სმითი. აბოლოოდ ყველანი გააძევეს მოედნიდან. ახლა ამ ინციდენტს განიხილავს ლიგის სადისციპლინო კომისია.

● „ჰიუსტონის" ცენტრალური თავდამსხმელი ხაკიმ ოლაჯუივონი საუკეთესო სნაიპერის პრიზის ერთ-ერთი კანდიდატია. ჯერჯერობით ყოველ მატჩში თავისი კლუბისათვის მას საშუალოდ 31,3 ქულა მოაქვს. ლიდერს კონკურენციას უწევენ ლერი ჯონსონი („შარლოტი") და რიკ სმითი („ინდიანა").

● „დეტროიტის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა რომ №40 მაისურს (ამ ნომერს ატარებდა ნბა-ს ორგზის ჩემპიონი მაიკ ლეიმბრი) გუნდში აღარავინ ჩაიცვამს.

● ნბა-ს ჩემპიონატში დღეისათვის ყველაზე შედეგიანი გუნდია „ფინიქსი" — 114 ქულა ყოველ მატჩში საშუალოდ. მეორე ადგილზეა „სიეტლ სუპერსონიკი" — 111,2 ქულა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიქელანჯელო, ბეთჰოვენი და მეჯიკ ჯონსონი

— ღმერთმა შექმნა ჯერ მიქელანჯელო, მერე ბეთჰოვენი და ბოლოს მეჯიკ ჯონსონი, — თქვა ბრაზილიის სპორტის მინისტრმა პელემ, როცა ნახა ნბა-ს ყოფილ ვარსკვლავთაგან შემდგარი გუნდის ამხანაგური მატჩი ვენესუელის კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებთან, რომელიც საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით (80:54) მოიგეს ექსვარსკვლავებმა. ეს ორთაბრძოლა გაიმართა რიო-დე-ჟანეიროს ცნობილ პლაჟზე — კაპაკაბანაზე მოწყობილ სპეციალურ მოედანზე.

მატჩის შემდეგ პელემ მეჯიკ ჯონსონს აჩუქა ბურთი თავისი ავტოგრაფით. მეჯიკმა თავის მხრივ მინისტრს კალათბურთის ბურთი უბოძა, თანაც აღნიშნა, რომ სპორტის ისტორიაში ყველაზე დიდ პიროვნებასთან ურთიერთობამ უდიდესი სიამოვნება მოჰგვარა. ტორსიდებმა პელესაც და მეჯიკსაც აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს.

სურათზე: მეჯიკ ჯონსონი.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ევროპის ფეხბურთის კავშირმა ბინა შეიცვალა. შვეიცარიიდან იგი არსად გადასულა, უბრალოდ, ევროპული ფეხბურთის შტაბი მთელი თავისი ავლადიდებითა და პერსონალით ბერნიდან ლოზანასა და ჟენევას შორის მდებარე ქალაქ ნიონში გადაბარგდა. უეფას წარმომადგენლის განმარტებით ძველი შენობა მცირე ზომისა იყო და იქ მომუშავე პერსონალი გარკვეულ სივიწროვეს განიცდიდა (აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უეფას შტატი ერთიორად გაიზარდა). როგორც ამბობენ, ნიონში მოხვედრა ძალზე იოლია, ჟენევის აეროპორტიდან იგი 10 კილომეტრზე მდებარეობს.

● ფეხბურთში ყოველწლიურად უამრავი რეფერენდუმი ეწყობა, განსაკუთრებით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების წელს. 1994 წლის შედეგების შეჯამება და მსოფლიოს უძლიერესი მოთამაშის გამოვლენა მოისურვა ლისაბონის გაზეთმა „ა ბოლმაც". მან მოაწყო სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელთა გამოკითხვა, რომლის შედეგად მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელთა ხუთეული ასე გამოიყურება: 1. რომარიო (ბრაზილია) — 346 ქულა, 2. სტოიჩკოვი (ბულგარეთი) — 100, 3. რაჯო (იტალია) — 80, 4. ხაჯი (რუმინეთი) — 50, 5 მალდინი (იტალია) — 40.

● სან-პაულუს (ბრაზილია) შტატის ჩემპიონატში არბიტრები ამიერიდან ყვითელი და წითელი ბარათების გარდა ცისფერ ბარათებსაც გამოიყენებენ. ცისფერი ბარათის ჩვენება მოთამაშის მინდვრიდან 10 წუთით გაძევებას ნიშნავს. ამ სიახლეს მხარი დაუჭირა ფიფამ. მას გამოიყენებენ შვეიცარიის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე და 17 წლის ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც წლეულს აგვისტოში ეკვადორი უმასპინძლებს.

● კამერუნში მორიგი სკანდალი აღინიშნა. ამჯერად მის ცენტრში აღმოჩნდა 42 წლის როჟე მილა. როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინ მან დატოვა თავისი კლუბი „ტონერე კალარა" და ინდონეზიის „პელიტა იავაში" გადავიდა მწვრთნელად. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად „მწვრთნელმა" ახალ კლუბში თამაში დაიწყო რაც კონტრაქტის პირობის დარღვევას წარმოადგენდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მილას ძველი კლუბის ფინანსურმა დირექტორმა თქვა: „ჩვენ არ ვართ მილას საზღვარგარეთ თამაშის წინააღმდეგი, მაგრამ თუ ასეთი განზრახვა ჰქონდა, ხელშეკრულება სხვაგვარად უნდა გაფორმებულიყო. ჩვენს კლუბს არა აქვს უფლება დაკარგოს 50 მილიონამდე კამერუნული ფრანკი (95 ათასი დოლარი)".

● ფრანგ ერიკ კანტონას ხულიგნურმა საქციელმა (გალახა ინგლისელი გულშემატკივარი) ფეხბურთის სამყაროში დიდი რეზონანსი გამოიწვია. მაგრამ როგორც გაირკვა, კანტონას ჰყოლია წინამორბედიც. ცნობილი ინგლისელი ფორვარდი დიქსი დინი 1927-28 წლების სეზონის რეკორდსმენი, მეტოქეთა კარში 60 გოლი გაიტანა), რომელმაც ერთი უძლიერესი დარტყმით ღრმა „ნოკაუტში გაგზავნა" მაყურებელი. ეს მოხდა 1937 წლის თებერვალს. ქვეყნის თასის გათამაშებისას დინის გუნდი „ევერტონი" დამარცხდა „ტოტენჰემთან" — 3:4 („შავმა მარგალიტმა", დიქსი დინს კი სწორედ ასე შეარქვეს) ამ მატჩში ორი გოლი გაიტანა). სტადიონიდან გასვლისას ერთ-ერთმა გულშემატკივარმა კანის ფერის გამო შეურაცხყოფა მიაყენა ფეხბურთელს, რასაც მომენტალურად მოჰყვა რეაქცია. ამ ისტორიაში საინტერესო ის არის, რომ პოლიციელებმა ფეხბურთელის მხარი დაიჭირეს ასეთი სიტყვებით: „ჩვენ მართალია არაფერი გვინახავს, მაგრამ ის, რაც ჩაიდინეთ, დიდებული სანახავი იყო".

● ფიფას ამასწინანდელი განმარტებით ეროვნულ ნაკრებ გუნდებში თამაშის აბსოლუტური რეკორდი ინგლისელ მეკარეს პიტერ შილტონს კი არა, საუდის არაბეთის ნაკრების თავდამსხმელს მაჯიდ აბდელახს ეკუთვნის. ფიფაში წარმოდგენილი საბუთების გულმოდგინე შესწავლამ დაადასტურა, რომ მას 147 მატჩი ჰქონია ჩატარებული ნაკრების შემადგენლობაში — 22-ით მეტი ვიდრე შილტონს. ახლა რეკორდსმენთა სამეული ასე გამოიყურება: 1. მაჯიდ აბდელახი — 147, 2. პიტერ შილტონი (ინგლისი) — 125, 3. ლოთარ მათეუსი (გერმანია) — 122.

● კოლუმბიის ნაკრებისა და იტალიის „პარმის" ფეხბურთელი ფაუსტინო ასპრილია სასამართლომ 2 200 დოლარით დააჯარიმა იარაღის უნებართვოდ ტარებისთვის.

● მიუნხენის „ბაიერნის" ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა ჟან-პიერ პაპენმა ერთ-ერთი საწვრთნელი მეცადინეობის დროს კვლავ დაიზიანა მუხლი, რომლის ოპერაცია მან სულ რამდენიმე თვის წინ გაიკეთა. 31 წლის პაპენი დაახლოებით 8 თვით გამოვიდა მწყობრიდან.

● აფრიკის სუპერთასის მატჩი შედგა ალექსანდრიაში, ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონთა თასის მფლობელი ტუნისის „ესპერანსი" და თასების მფლობელთა თასის მფლობელი ზაირის „მოტემა პემბე". ტუნისელებმა საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს — 3-0.

● არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში გაიმართა აზიის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური ტურნირი 4 გუნდის მონაწილეობით. გამარჯვება წილად ხვდა იაპონიის „ტელესკონ ორგანიზეიშენ ოფ ტაილანდს", რომელმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგო არაბეთის „ალი-შაბს" — 2-1. გადამწყვეტი ბურთი დამატებითი დროის მე-6 წუთზე გავიდა. თამაში მაშინვე შეწყდა, ვინაიდან ტურნირი, ფიფას რეკომენდაციით, დამატებითი დროის პირველ გატანილ გოლამდე მიმდინარეობდა.

● ავსტრალიაში დამთავრდა ახალგაზრდული გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დანიისა და სამხრეთ კორეის გუნდები. გაიმარჯვეს დანიელებმა — 2-1. მესამე ადგილი დაიკავეს ავსტრალიელებმა, მეოთხე — იაპონელებმა.

# მწვრთნელმა შეგირდი ცემით მოკლა

რუმინეთის დედაქალაქში დამთავრდა გახმაურებული სასამართლო პროცესი, რომლის ცენტრალური ფიგურა იყო ბუქარესტის „დინამოს" ტანმოვარჯიშეთა გუნდის 25 წლის მწვრთნელი ფლორიან გეორგე. ძიებით დადგინდა (სხვათა შორის, ფაქტი არც მსჯავრდადებულმა უარყო), რომ მწვრთნელმა ვარჯიშზე ილეთის არასწორი შესრულებისთვის სასტიკად გალახა და ბოლოს სიცოცხლეს გამოასალმა 11 წლის გოგონა ადრიანა გიურგი. სასამართლომ დამნაშავეს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენი გარდაცვლილის მშობლებმა გააპროტესტეს, თანაც უჩივლეს ტანვარჯიშის სკოლას, სადაც ფიზიკური ზემოქმედება ნორჩ სპორტსმენებზე დაკანონებული ყოფილა.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ძიუდოს ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს დავით ხახალეიშვილს მამის
როსტომ ხახალეიშვილის
გარდაცვალების გამო.

ქუთაისის მერიის სპორტის საქალაქო კომიტეტი და ქალაქის ძიუდოს ფედერაცია თანაუგრძნობენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს დავით ხახალეიშვილს, მამის
როსტომ ხახალეიშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ძიუდოს ფედერაცია თანაუგრძნობენ ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ანზორ მარტყოფლიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

სპორსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ დავით ხახალეიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

## პროფესიულ რინგზე

● ნიუ-იორკი. პროფესიულ კრივში ყველაზე ძლიერ და სოლიდურ გაერთიანებად კრივის მსოფლიო ორგანიზაცია ვბო ითვლება. სწორედ ამ ორგანიზაციის ეგიდით აპირებს ბრძოლას მსოფლიოს ექსჩემპიონი რიდიკ ბოუ ახალზელანდელ მსოფლიოს ჩემპიონ ჰერბი ჰაიდთან. მერე, როგორც ამბობენ, ბოუ ევანდერ ჰოლიფილდსაც შეხვდება. ჯერჯერობით კი ჰაიდთან ბრძოლისთვის ბოუ მიიღებს 1 მილიონ დოლარს, ჰაიდი კი, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი, სამჯერ უფრო მეტს — 3,1 მილიონს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰაიდმა პროფესიულ რინგზე 26 შეხვედრიდან ყველა მოიგო.

● ბერლინი. მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში ორი ვერსიით, ამერიკელი ჯორჯ ფორმენი ჩავიდა თავისი მომავალი მეტოქის აქსელ შულცის სამშობლოში — გერმანიაში. გახსოვთ ალბათ, რომ 46 წლის მსოფლიოს ჩემპიონი 22 აპრილს ლას-ვეგასში უნდა შეხვდეს გერმანელ მოკრივეს. უცხოეთში გამართულ პრესკონფერენციაზე ფორმენმა თქვა, რომ შულცი მისი ბოლო მეტოქე იქნება მანამ, სანამ ტაისონი არ გამოვა ციხიდან.

● რინგზე დაბრუნებას აპირებს 1984 წლის ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონაში, 34 წლის ამერიკელი ჰენრი ტილმენი, რომელიც 2 წლით სპორტს იყო ჩამოცილებული, მაგრამ მან ჯერ „გამოცდა" უნდა ჩააბაროს... სასამართლოში, ვინაიდან ბრალად ედება ყალბი საკრედიტო ბარათებით სარგებლობა.

● სულ ახლახანს გახდა ცნობილი, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი რიდიკ ბოუ წლის ბოლოს ან მერმისს, წლის დასაწყისში მაიკ ტაისონს შეხვდება.

● სეული. პირველ უმჩატეს წონაში „ყარაული შეიცვალა". კრივის მსოფლიოს საბჭოს ვერსიით ოქროს ქამრის მფლობელმა ლეო გომესმა თავისი უფლებამოსილება გადასცა სამხრეთკორეელ ხოი ხუ იუნს. 29 წლის კორეელი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ყველაზე დაბალ წონაში — 47,6 კგ-ში.

● ლონდონი. მძიმე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონის ლენოქს ლუისის (ინგლისი) მენეჯერს ფრენკ მელონს მეხიკოში მოლაპარაკება ჰქონდა მოკრივეთა მსოფლიოს საბჭოს ხელმძღვანელობასთან ამერიკელ ლაიონელ ბატლერთან მატჩის მოწყობის თაობაზე. იგივე საქმიანობითაა დაკავებული ბატლერის ინტერესების დამცველი, ცნობილი ამერიკელი პრომოუტერი დონ კინგიც. თუ მელონი გაიტანს თავისას, შეხვედრა გაიმართება 13 მაისს ლას-ვეგასში, თუ დონ კინგმა გაიმარჯვა, მატჩი ალბათ უფრო ადრე მოეწყობა.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი,
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე